ოქმი:**ო12. 3725017001**
თარიღი:**17/01/2025**

ოქმი N 1

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომის

2025 წელი, 16 იანვარი
ქ.ოზურგეთი
13:00-14:00 საათი

თავმჯდომარეობდა: ქეთევან ხომერიკი- მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე

ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: ქ. ვასაძე, ხ. ცერცვაძე, ნ. სარჯველაძე, მ. ვაშალომიძე. ბ. მელუა, ნ. ღაჟონია, ვლ. ხავთასი, დ. მდინარაძე.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

ქ. ოზურგეთში, ზ. გამსახურდიას მოედანზე („ჭადრების ბაღში“)ცნობილი ქართველი მუსიკოსის, ფოლკლორისტის, კომპოზიტორისა და ხალხური სიმღერების შემკრების, საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის ანზორ ერქომაიშვილის ბიუსტის განთავსების თაობაზე.

მომხსენებელი: ქეთევან ხომერიკი

სხდომის თავმჯდომარემ, ქ. ხომერიკმა, კომისიის წევრებს მოკლედ მოახსენა, რომ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიიდან მუნიციპალიტეტის საკრებულოში შემოსულია წინადადება ქ. ოზურგეთში, ზ. გამსახურდიას მოედანზე („ჭადრების ბაღში“), ცნობილი ქართველი მუსიკოსის, ფოლკლორისტის, კომპოზიტორისა და ხალხური სიმღერების შემკრების, საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის ანზორ ერქომაიშვილის ბიუსტის განთავსების თაობაზე. აღინიშნა, რომ ანზორ ერქომაიშვილი წარმოშობით იყო ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მაკვანეთიდან, მომხსენებელმა კომისიის წევრებს მოკლედ გააცნო მისი ბიოგრაფია და დამსახურებები ეროვნული კულტურის განვითარების, განსაკუთრებით ქართული ხალხური, მათ შორის გურული სიმღერების შესწავლა-აღდგენის და პოპულარიზაციის საქმეში. კომისიის წევრებმა იმსჯელეს, მხარი დაუჭირეს წარმოდგენილ წინადადებას და მიზანშეწონილად მიიჩნიეს საკითხი გადაეგზავნოს შესათანხმებლად შესაბამის სამინისტროს.

გადაწყვიტეს:

მოწონებულ იქნას მერიის მიერ წარმოდგენილი წინადადება და საკითხი გადაეგზავნოს შესათანხმებლად შესაბამის სამინისტროს.

ქეთევან ხომერიკი

განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი